ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სანოტარო აქტი

ორიათას ოცდახუთი წლის ათ ივნისს, მე, ნოტარიუს ია ყიფიანს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №68-ში, მომმართა ქალბატონმა **ნანა ანჩაბაძემ** (დაბ. 06.12.1975 წელს, პირადი № 62003003873, პასპორტი № 22AA70243 გაცემული 19.04.2023 წელს, რეგისტრირებული თბილისი პავლე ინგოროყვას ქ. N 17/5 ბლოკი ბ ბ. 13). მან წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს „ივერია“-ს (ს/კ 405140547) შესახებ, გაცემული 20/03/2025 16:38:24 წელს მდგომარეობით, რეგისტრაციის № B25042962, როგორც ამ საზოგადოების დირექტორმა და წარმომადგენლობით უფლებამოსილმა პირმა და განაცხადა, რომ სურს გარკვეული უფლებამოსილება მიანიჭოს ქალბატონ **ანნა კუპრაშვილს** (დაბ. 26.03.2001 წელს, პირადი № 01024076222, რეგისტრირებული, ქალაქი თბილისი, დები იშხნელების ქუჩა, N 1, ბინა 12).

იყოს მისი სრულუფლებიანი წარმომადგენელი ქვემოთჩამოთვლილი საქმიანობის საწარმოებლად. მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. პირადობა დადგენილია. ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. შემდეგ მე შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე მარწმუნებელს. მან განაცხადა, რომ მასში ასახული აზრი სრულად შეესაბამება მის ნებას. რის შემდეგ ხელი მოაწერა წინამდებარე მინდობილობას ჩემი– ნოტარიუსის თანდასწრებით.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ოცდახუთი წლის ათ ივნისს, ქალბატონმა **ნანა ანჩაბაძემ** (დაბ. 06.12.1975 წელს, პირადი № 62003003873, პასპორტი № 22AA70243 გაცემული 19.04.2023 წელს, რეგისტრირებული თბილისი პავლე ინგოროყვას ქ. N 17/5 ბლოკი ბ ბ. 13), როგორც შპს „ივერია“-ს (ს/კ 405140547) დირექტორმა - შემდგომში “მარწმუნებელი“, სრული უფლებამოსილება მიანიჭა ქალბატონ **ანნა კუპრაშვილს** (დაბ. 26.03.2001 წელს, პირადი № 01024076222, რეგისტრირებული ქალაქი თბილისი, დები იშხნელების ქუჩა, N 1, ბინა 12) - შემდგომში “რწმუნებული“, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

რწმუნებული პირი უფლებამოსილია განახორციელოს საზოგადოების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებზე, მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, თაქთაქიშვილის ქუჩა, N 12; ქალაქი თბილისი, ქუჩა თაქთაქიშვილის ქუჩა N 12 ა, კომერციული ფართი N 1 (ს/კ 01.14.11.017.026.01.03.502) 12.06.2018 წელს ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის (წერილის ნომერი AR 1256852 MS, განაცხადის ნომერი AR 1605152) შესაბამისად დამონტაჟებული ჰაერის ვენტილაციის მილის კორექცია, აწარმოოს საპროექტო სამუშაოები, აწარმოოს ყველა საჭირო პროცედურა ადგილობრივ, ადმინისტრაციულ და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, მათ შორის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სხვა შესაბამის სამსახურებთან. აღნიშნული დავალების განსახორციელებლად, რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს ყველა იურიდიული პროცედურა, რაც დადგენილია შესაბამისი კანონმდებლობით.

მინდობილი უფლებამოსილება რწმუნებულს შეუძლია განახორციელოს 2025 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით მოქმედების ვადით. უძრავი ქონების გაყიდვის, იპოთეკით დატვირთვის ან სხვაგვარად განსხვისების უფლების გარეშე.

მინდობილობა ხელმოწერილია სამ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, დანარჩენი მიეცა ხელზე მარწმუნებელს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.12.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 30 ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე – 5.00 ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. –5.40 ლარი, ჯამში: 40.40 ლარი

ნანა ანჩაბაძე

ნოტარიუსი ია ყიფიანი